ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

პროექტი

განკარგულება N

ქ. ოზურგეთი
2022წ-------- მაისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და მე-100 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის პარტნიორული ორგანიზაციის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის მიღებაზე.

მუხლი 2. მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმდეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს მე-100 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე